საქართველოს მთავრობის

დადგენილება №68

2025 წლის 11 მარტი

ქ. თბილისი

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ ნებართვების გაცემის წესის, პირობებისა და სანებართვო მოწმობების ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 31 დეკემბრის №426 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ ნებართვების გაცემის წესის, პირობებისა და სანებართვო მოწმობების ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 31 დეკემბრის №426 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 11/01/2011, 340170000.10.003.016167) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ ნებართვების გაცემის წესისა და პირობების“ დანართი №3 ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დანართი №3

ფიტოსანიტარიულ კონტროლს დაქვემდებარებული მცენარეული წარმოშობის პროდუქცია იმპორტის დროს

სეს ესნ კოდი	დასახელება
1	2
ჯგუფი 06. ცოცხალი ხეები და სხვა მცენარეები; ბოლქვები, ფესვები და მცენარეების სხვა ანალოგიური ნაწილები; მოჭრილი ყვავილები და დეკორატიული ბალახი	
0601	ბოლქვები, ტუბერები, ტუბერისებრი ფესვები, ტუბერბოლქვები, ფესურები, განშტოებულის ჩათვლით, ვეგეტაციური სიმშვიდის, ვეგეტაციის ან ყვავილობის მდგომარეობაში; ვარდკაჭაჭას მცენარეები და ფესვები, 1212 სასაქონლო პოზიციის ფესვების გარდა
0602	დანარჩენი ცოცხალი მცენარეები (მათი ფესვების ჩათვლით), კალმები და გადანაწვენები, გარდა სოკოს მიცელიუმისა
ჯგუფი 07. ბოსტნეული და ზოგიერთი საკვები ძირნაყოფები და ბოლქვნაყოფები	
0701	კარტოფილი, ახალი ან გაცივებული
0702 00 000 00	პომიდორი, ახალი
0703	ხახვი, თავიანი, ხახვი-შალოტი, ნიორი, პრასი და დანარჩენი ხახვისნაირი ბოსტნეული, ახალი ან გაცივებული
0707 00	კიტრი და კორნიშონები, ახალი
0713	პარკოსანი ბოსტნეული, ხმელი, დაჩურჩული, სათესლე, ქერქისაგან გაცლილი ან გაუცლელი, დამტვრეული ან დაუმტვრეველი

0714	მანიოკი, მარანთა, სალეპი, მიწის მსხალი, ანუ ტოპინამბური, ტკბილი კარტოფილი, ანუ ბატატი და სხვა ანალოგიური ძირნაყოფები და ბოლქვნაყოფები სახამებლის ან ინულინის მაღალი შემცველობით, ახალი, გაცივებული, გარდა გაყინული ან ხმელი, მთელი ან დაჭრილი პატარა ნაჭრებად ან გრანულების სახით; საგოს პალმის ნაყოფის გული
ჯგუფი 08. საკვებად ვარგისი ხილი და კაკალი; ციტრუსების კანი ან ნესვის ქერქი	
0805	ციტრუსები, ახალი
0806	ყურძენი, ახალი
0807	ნესვი (საზამთროს ჩათვლით) და პაპაია, ახალი
ჯგუფი 10. მარცვლოვნები	
1001	ხორბალი და მესლინი
1002	ჭვავი
1003	ქერი
1004	შვრია
1005	სიმინდი
1007	სორგო მარცვლოვანი
ჯგუფი 11. ფქვილ-ბურღულეული მრეწველობის პროდუქცია; ალაო; სახამებელი; ინულინი; ხორბლის წებოვანა	
1101 00 სასაქონლო სუბპოზიციიდან – ხორბლის ფქვილი:	
1101 00 150 00	რბილი ხორბლისა და სპელტისაგან
1101 00 110 00	მაგარი ხორბლისაგან
1104 სასაქონლო პოზიციიდან	ქერის მარცვალი, დამუშავებული სხვა ხერხით (მაგალითად, დაჩურჩული, გაბრტყელებული, გადამუშავებული ფანტელებად, დატეხილი, დაროშილი ან დამსხვრეული), ქერის მარცვლის ჩანასახები, მთლიანი, გაბრტყელებული, ფანტელების სახით ან დაფქული:
1104 19 610 00	გაბრტყელებული
1104 19 690 00	გადამუშავებული ფანტელების სახით
1104 29 040 00	დაჩურჩული, დაწეკილი ან დაუწეკავი, დამსხვრეული ან დაუმსხვრეველი
1104 29 050 00	დატეხილი
1104 29 080 00	დანარჩენი
ჯგუფი 12. ზეთოვანი მცენარეების თესლები და ნაყოფები; დანარჩენი თესლები; ნაყოფები და მარცვალი; სამკურნალო მცენარეები და მცენარეები ტექნიკური მიზნებისათვის; ჩალა და ფურაჟი	
1204 00	თესლი სელისა, დაუმსხვრეველი
1205	თესლი რაფსისა, ანუ კოლზისა, დაუმსხვრეველი

1206 00	თესლი მზესუმზირისა, დაუმსხვრეველი, დაუჩურჩავი, მოუხალავი ან რაიმე სხვა მეთოდით მოუმზადებელი
1207	თესლი და ნაყოფები სხვა ზეთოვანი კულტურებისა, დაუმსხვრეველი, დაუჩურჩავი, მოუხალავი ან რაიმე სხვა მეთოდით მოუმზადებელი
1209	თესლი, ნაყოფი და სპორები სათესად
1211-დან	შემდეგი მცენარეების ყვავილის მტვერი: ყვავტყემალა (Amelanchier Med.), იაპონური კომში (Chaenomeles Lindl.), ვაშლანა (Cotoneaster Ehrh.), კუნელი (Crataegus L.), კომში (Cydonia Mill.), იაპონური ზღმარტლი (Eriobotrya Lindl.), ვაშლი (Malus Mill.), ზღმარტლი (Mespilus L.), ჩიტავაშლა (Pyracantha Roem.), მსხალი (Pyrus L.), თამელი (Sorbus L.) და ფოტინია დევიდსონის (Photinia davidiana (Dcne.)
ჯგუფი 23. კვების მრეწველობის ნაშთები და ნარჩენები; მზა საკვები ცხოველებისთვის	
2302*	ანაცერი, ქატო და სხვა ნარჩენები, მიღებული პურეული მარცვლოვნების ან პარკოსანი კულტურების მარცვლის დაფქვის, გაცრის ან სხვა მეთოდით გადამუშავების შედეგად, არაგრანულირებული ან გრანულირებული
ჯგუფი 44. მერქანი და მისი ნაწარმი; ხის ნახშირი	
4401	სათბობი ხეტყე, მორების, კუნძების, როკების, ფიჩხის კონების ან ანალოგიური სახით; ნაფოტი ან ბურბუშელა; ნახერხი და ხის ნარჩენები, აგლომერირებული ან არააგლომერირებული, მორების, ბრიკეტების, გრანულების ან ანალოგიური სახით
4403	ხეტყის მასალა დაუმუშავებელი, ქერქიანი, უქერქო ან ნაქურთვნი, ან ტლანქად დაძელვილი ან დაძელვის გარეშე
4404	მერქანი საკასრე; მორები დაპობილი; ხის ხიმინჯები, სარები და ბოძები, წამახული, მაგრამ სიგრძივ დაუხერხავი; ხეტყის მასალა ტლანქად გათლილი, მაგრამ გაუჩარხავი, გაუღუნავი ან სხვა წესით დაუმუშავებელი, გამოსაყენებელი ხელჯოხების, ქოლგების, ინსტრუმენტების სახელურების ან ანალოგიური ნაწარმის დასამზადებლად; მერქანი ქერქგაცლილი და ანალოგიური
	ხის შპალები რკინიგზის ან ტრამვაის ლიანდაგებისათვის, გაუჟღენთავი
4406 11 000 00	– – წიწვოვანი ჯიშების
4406 12 000 00	– – არაწიწვოვანი ჯიშების
4407	ხეტყის მასალა გასწვრივ დახერხილი ან დაპობილი, შრეებად გაყოფილი ან შპონახდილი, გარანდული ან გაურანდავი, გახეხილი ან გაუხეხავი, ტორსული შეერთების მქონე ან არმქონე, სისქით 6 მმ-ზე მეტი.“.

შენიშვნა:

1. სეს ესნ-ის 1101 00 110 00 და 1101 00 150 00 სასაქონლო ქვესუბპოზიციებში კლასიფიცირებულ ხორბლის ფქვილზე, 1104 19 610 00, 1104 19 690 00, 1104 29 040 00, 1104 29 050 00 და 1104 29 080 00 სასაქონლო ქვესუბპოზიციებში კლასიფიცირებულ ქერსა და 2302 სასაქონლო პოზიციაში კლასიფიცირებულ ქატოზე ნებართვა წარედგინება საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების პროცედურაში (იმპორტში) დეკლარირებისას.

2. ნებართვა არ ესაჭიროება:

ა) არაუმეტეს 200 კილოგრამის ოდენობის სეს ესნ-ის 1101 00 110 00 და 1101 00 150 00 სასაქონლო ქვესუბპოზიციებში კლასიფიცირებულ ხორბლის ფქვილს, 1104 19 610 00,1104 19 690 00, 1104 29 040 00,

1104 29 050 00 და 1104 29 080 00 სასაქონლო ქვესუბპოზიციებში კლასიფიცირებულ ქერსა და 2302 სასაქონლო პოზიციაში კლასიფიცირებულ ქატოს;

ბ) თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში ხორბლის გადამუშავების შედეგად მიღებულ ფქვილს, ქატოს ან/და სეს ესნ-ის 1003 სასაქონლო პოზიციაში შემავალი ქერის გადამუშავების შედეგად მიღებულ სეს ესნ-ის 1104 19 610 00,1104 19 690 00, 1104 29 040 00, 1104 29 050 00 და 1104 29 080 00 სასაქონლო ქვესუბპოზიციებში კლასიფიცირებულ საქონელს;

გ) სეს ესნ-ის 1101 00 110 00 და 1101 00 150 00 სასაქონლო ქვესუბპოზიციებში კლასიფიცირებულ ხორბლის ფქვილს, 2302 სასაქონლო პოზიციაში კლასიფიცირებულ ქატოს ან/და 1104 19 610 00,1104 19 690 00, 1104 29 040 00, 1104 29 050 00 და 1104 29 080 00 სასაქონლო ქვესუბპოზიციებში კლასიფიცირებულ ქერს, მათზე გაცემული პრეფერენციული წარმოშობის სერტიფიკატის EUR.1 ან წარმოშობის დეკლარაციის საფუძველზე საგადასახადო შეღავათის გამოყენების შემთხვევაში.

3. სეს ესნ-ის 1101 00 110 00 და 1101 00 150 00 სასაქონლო ქვესუბპოზიციებში კლასიფიცირებულ ხორბლის ფქვილზე, 1003 და 1104 19 610 00,1104 19 690 00, 1104 29 040 00, 1104 29 050 00 და 1104 29 080 00 სასაქონლო ქვესუბპოზიციებში კლასიფიცირებულ ქერსა და 2302 სასაქონლო პოზიციაში კლასიფიცირებულ ქატოზე ნებართვის გამცემი ორგანოა ეროვნული სააგენტო.

4. *სეს ესნ-ის 2302 სასაქონლო პოზიციაში შემავალი საქონლიდან ნებართვა ესაჭიროება მხოლოდ ქატოს.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს 2025 წლის 1 აპრილიდან.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი კობახიძე**